საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარათაშვილი პეტრე მელქისედეკის (მიხეილის) ძე

ბარათაშვილი პეტრე მელქისედეკის (მიხეილის) ძე (1734, რუსეთი, – 2. IX. 1789), რუსეთის იმპერიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-პორუჩიკი (1786).

1724 რუსეთში წასული ვახტანგ VI-ის ამალის წევრის, მელქისედეკ ბარათაშვილის ვაჟი, ქართ. ნუმიზმატიკის ფუძემდებლის ბარათაშვილი მიხეილ|მ. პ. ბარათაშვილის მამა. 1770–74 მსახურობდა საარტილერიო კორპუსში; მონაწილეობდა 1768–74 და 1787–91 რუს.-ოსმ. ომებში. 1780 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. 1780–89 იყო სიმბირსკის მეფისნაცვალი. 1784-იდან თავმჯდომარეობდა სიმბირსკის სამოქალაქო სასამართლოსა და სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურობის საქმეთა სამმართველოს. დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენით.

ლიტ.: გ ო გ ი ტ ი ძ ე მ., რუსეთის იმპერიის სამეფო არმიის ქართველი გენერლები, თბ., 1999; Б р о к г а у з е н и Э ф р о н, Энциклопедический словарь, СПб., т. 5, 1891.

შ. ცირეკიძე